სიკეთე: არის კარგი ზნეობა. ცოდვა არის ის, რაზეც შენი სული ორჭოფობს, რის გამოც დამძიმებულია და რასაც არ ისურვებდი, რომ ხალხმა გაიგოს

ან-ნავვაას იბნ სიმ'აან ალ-ანსარი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სიკეთე: არის კარგი ზნეობა. ცოდვა არის ის, რაზეც შენი სული ორჭოფობს, რის გამოც დამძიმებულია და რასაც არ ისურვებდი, რომ ხალხმა გაიგოს». ვააბისა იბნ მა'ბადი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: მან თქვა: მე მივედი ალლაჰის მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მან მითხრა: «შენ მოხვედი, რომ სიკეთეზე და ცოდვაზე მკითხო? მე ვუთხარი: 'დიახ'. მან თქვა: მოითხოვე ფათვა შენი გულისგან: სიკეთე არის ის, რაც ამშვიდებს სულს და ამშვიდებს გულს, ხოლო ცოდვა არის ის, რაც შენს სულში შფოთვას იწვევს და გულში ორჭოფობას ბადებს, თუნდაც ადამიანებმა მოგცენ ფათვა და გითხრან, რომ ეს ნებადართულია».

[სანდო (საჰიჰ)] [الحديث الأول: رواه مسلم، والحديث الثاني: رواه أحمد والدارمي]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშცვიდობა მას) გვამცნო სიკეთესა და ცოდვაზე. მან თქვა: ნამდვილად, სიკეთის უდიდესი თვისებაა კარგი ზნეობა ალლაჰის ღვთისმოშიშებით, ხოლო ხალხთან მათი ზიანის მოთმინებით, რისხვის თავშეკავებით, მომღიმარი სახით, კეთილი სიტყვებით, კავშირის შენარჩუნებით, მორჩილებით, სითბოთი, სიკეთით, კარგი მოპყრობითა და მეგობრობით. ხოლო სიკეთე არის ის, რაშიც გული და სული პოულობს სიმშვიდეს. რაც შეეხება ცოდვას, ის არის ის, რაც სულში აღმოცენდება ეჭვი და გაუგებრობა და გული ვერ პოულობს სიმშვიდეს, გულში ჩნდება შიში და ეჭვი, რომ ეს შეიძლება ცოდვა იყოს. ადამიანი არ ისურვებს, რომ ეს გამჟღავნდეს, რადგან ღირსეული და პატივსაცემი ხალხის თვალში ეს სიბინძურედ ჩანს, რადგანაც სულს ბუნებრივად სურს, რომ ხალხმა მისი სიკეთე იხილოს, ხოლო თუ მას არ სურს, რომ ადამიანებმა მისი ზოგიერთი საქციელი გაიგონ, ეს არის ცოდვა, რომელშიც სიკეთე არ არის. და თუნდაც ხალხმა ფათვა მოგცეს, ნუ მიიღებ მას, სანამ შენს სულში ეჭვის ნიშანი ტრიალებს, რადგან ფათვა არ ხსნის ეჭვს, როცა ის მართალია და მუფთი უცოდინრობით გასცემს ფათვას. ხოლო თუ ფათვა შარიათურ მტკიცებულებაზეა დაფუძნებული, მაშინ ვისზეც გაიცა ფათვა სავალდებულოა მასთან დაბრუნება, თუნდაც გულში არ პოულობდეს სიმშვიდეს და გახსნილობას.


النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY


لجنة الدعوة الإلكترونية
EDC
E-Da'wah Committee